ხელშეკრულება N148
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

10 ივლისი 2015 წ.

დაბა შუახევი

ერთის მხრივ **თვითმმართველი ერთეული შუახევის მუნიციპალიტეტი,** მისამართი: თამარ მეფის #30, საიდენტიფიკაციო კოდი 247865145, წარმოდგენილი გამგებლის ტარიელ ებრალიძის სახით (შემდგომში `შემსყიდველი~)

და მეორეს მხრივ **ა(ა)იპ** საქართველოს **ხელოვანთა** და **მეცნიერთა** ასოციაცია **"მემბრანა"**, მისამართი: ქ. თბილისი, მილორავას ჩიხი.#3, საიდენტიფიკაციო კოდი 205074774, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ვერა ფურცხვანიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")

მათ შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა განახორციელა საქართველოს **მუნიციპალიტეტების გამგეობებისა** და **საკრებულოების ცნობარი - 2015"**-ში შუახევის **მუნიციპალიტეტის** შესახებ **მასალის მომზადებისა** და **გამოცემის** (CPV 22461000) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით **180** (ას ოთხმოცი) **ლარი და 00 თეთრი** (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება")

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ `ხელშეკრულება~) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 `ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 `მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი.

4.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთიანად ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს 4 ეგზემპლიარი ცნობარი (ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესახებ 4 ფერადი გვერდი) შემდეგ მისამართზე: ბორჯომი, მესხეთის ქ. #5.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის შუახევის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ერთიანად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ფასები

7.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 "შემსყიდველი ვალდებულია:

9.1.1 დროულად მიაწოდოს ტექსტური და ფოტომასალა "მიმწოდებელს". კერძოდ: ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია, ბ) გამგეობისა და საკრებულოს მისამართი, გ) თანამშრომელთა (გამგებლის მოადგილეები, მდივანი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, სამსახურების უფროსები, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები) საკონტაქტო ინფორმაცია.

9.1.2 ტექსტური მასალის, ცნობების სისწორეზე და ფოტომასალის ხარისხზე პასუხისმგებლობას იღებს შემსყიდველი.

9.2. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1 "შემსყიდველისაგან" მიღებული მასალის საფუძველზე მუნიციპალიტეტის შესახებ მოამზადოს ცნობები, მინიმუმ ოთხი ფერადი გვერდი, დაარედაქტიროს, შეარჩიოს დიზაინი (შემსყიდველთან შეთანხმებით) და დააკაბადონოს.

9.2.2 სამუშაო შეასრულოს კეთილსინდისიერად, მაღალი ტოპოგრაფიული ხარისხით.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების Mსაერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაში, დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს საალსრულებო დაწესებულებას (როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი
პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი" შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, თამარ მეფის #30, საიდენტიფიკაციო კოდი 247865145, სს „ლიბერთი ბანკი", ბ/კოდი LBRTGR22, ა/ნ GE35LB0120124700733001

ტ. ებრალიძე

მ. ა.

"მიმწოდებელი" _ ა(ა)იპ საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია "მემბრანა", მისამართი: ქ. თბილისი, მილორავას ჩიხი.#3, საიდენტიფიკაციო კოდი 205074774, სს "ბაზისბანკი", ბანკის კოდი CBASGE22, ა/ანგ. #GE34BS0000000071236933;

ვ. ფურცხვანიძე

მ. ა.

ქართველთა ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია "მემბრანა" GEORGIAN ASSOCIATION OF ARTISTS AND SCIENTISTS "MEMBRANE" 205074774

შემსრულებელი:

ა(ა)იპ "საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია "მემბრანა"
საიდენტიფიკაციო კოდი: 205074774
მისამართი: ქ.თბილისი, მილორავას ჩიხი #3
ტელეფონი: 595 17 25 18, 5 999 30 559
ელ.ფოსტა: GAAS_georgia@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები:

ბაზის ბანკი
ანგარიშის/ნ GE34 BS00 0000 0071 2369 33
ბანკის კოდი: CBASGE22
მისამართი: ქ.თბილისი: ქეთევან წამებულის გამზირი #1.
ტელ: (+995 32) 2 921 921, (+995 32) 2 922 922
ელ.ფოსტა: info@basisbank.ge

შემსრულებელი:
/ვ.ფურცხვანიძე/

საქართველოს ხელოვანთა და მეცნიერთა ასოციაცია "მემბრანა"
GEORGIAN ASSOCIATION OF ARTISTS AND SCIENTISTS "MEMBRANE"
205074774